შეხვედრა შიდა ქართლის სამელიორაციო საკითხებთან დაკავშირებით

2 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ და შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა, მიხეილ შაყულაშვილმა რეგიონში სამელიორაციო სიტემებზე არსებული მდგომარეობა, მოახლოებულ სარწყავ სეზონთან დაკავშირებული საკითხები და არსებული საჭიროებები სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

შეფასდა მუნიციპალიტეტების მიხედვით განხორციელებული და მიმდინარე სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები.

თენგიზ ნასარიძემ ყურადღება იმ პროექტებსა და სამუშაოებზე გაამახვილა, რომლებიც რეგიონში უახლოეს პერიოდში დაიწყება.

დღეისათვის, შიდა ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 7.3 მლნ ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო პროექტები მიმდინარეობს. შედეგად, დამატებით, 2740 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება.

შეხვედრა შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა, რომელსაც „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლები და შიდა ქართლის რეგიონში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტის მერები ესწრებოდნენ.

საქართველოს მელიორაციაში სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს

5 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს.

ერთი თვის განმავლობაში, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ კომპანიის რეგიონულ სერვისცენტრებსა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე მუშაობის სპეციფიკას გაცნობოდნენ.

სტაჟირების პროგრამა მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის დარგში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადების მხარდაჭერას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

კომპანიაში გამართულ შეხვედრაზე სტუდენტებმა სტაჟირების შემაჯამებელი პრეზენტაცია წარმოადგინეს, რის შემდეგაც მათ სერტიფიკატები გადაეცათ.
შეხვედრაზე წიგნის „მელიორაციული ჰიდროლოგია“ პრეზენტაცია გაიმართა.
ღონისძიებას კომპანიის სამსახურების ხელმძღვანელები და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სტუდენტებს მომავალშიც შესთავაზებს კომპანიაში სტაჟირების გავლას.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები შიდა ქართლის რეგიონში

12 აპრილი

საქართველოს მელიორაციამ შიდა ქართლში ტაშისკარის სარწყავი სისტემის ერთ-ერთი წყალგამტარის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.

პროექტის ფარგლებში, 240 მეტრი სიგრძის ამორტიზებული მილსადენი ახლით შეიცვალა, რაც ხელს შეუწყობს წყალმომარაგებას და საგრძნობლად შეამცირებს დანაკარგებს.

აღდგენილი საირიგაციო სისტემის მეშვეობით, ქარელის მუნიციპალიტეტის 10 სოფლის (ფცა, თამარაშენი, მოხისი, შაქშაქეთი, წვერი, არადეთი, საღოლაშენი, ბრეთი, რუისი, ურბნისი) 3800 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შეფერხების გარეშე მოირწყვება.

პროექტის ღირებულებამ 1.1 მლნ ლარი შეადგინა.

შიდა ქართლში სამელიორაციო ინფრასტრუქტურაზე ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი თენგიზ ნასარიძე გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

სოფელ დაშტაფაში სარწყავი არხი წესრიგდება

13 აპრილი

ქვემო ქართლში, სოფელ დაშტაფას ტერიტორიაზე, ეკალ-ბარდებისა და დანალექი გრუნტისგან მაგისტრალური არხის 500 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, არხში წყლის გადინება შეფერხების გარეშე მოხდება, რაც მარნეულის მუნიციპალიტეტში, 200 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გაუმჯობესებს. საირიგაციო სისტემაზე მიმდინარე სამუშაოები აპრილის შუა რიცხვებში დასრულდება.

ამ ეტაპზე, საქართველოს მელიორაცია ქვემო ქართლის რეგიონში 15 მლნ ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, რის შედეგადაც, დამატებით, 2500 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება, 900 ჰექტარზე კი, სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის მელიორაციის საკითხებთან დაკავშირებით

24 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გენადი კერძევაძემ და სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ბესიკ ამირანაშვილმა რეგიონში სამელიორაციო სიტემებზე არსებული მდგომარეობა, სარწყავ სეზონთან დაკავშირებული საკითხები და არსებული საჭიროებები სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

შეფასდა მუნიციპალიტეტების მიხედვით განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები.

2012 წლიდან დღემდე, რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 19,4 მლნ ლარის ღირებულების 35 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 131 კმ საირიგაციო არხს, შეკეთდა 4 სათავე ნაგებობა და 11 სატუმბი სადგური.

შედეგად, მიწის ფართობი, რომელიც რეგულარულად მოირწყვება 11 465 ჰექტრამდე გაიზარდა, წყლით უზრუნველყოფა 1690 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდა.

შპს „საქართველოს მელიორაციას“ თამაზ მღებრიშვილი უხელმძღვანელებს

25 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაციას“ თამაზ მღებრიშვილი უხელმძღვანელებს. ახალი გენერალური დირექტორი უწყების თანამშრომლებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ წარუდგინა.

მღებრიშვილმა ამ პოსტზე თენგიზ ნასარიძე შეცვალა, რომელმაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობა დაიკავა.

თამაზ მღებრიშვილი საქართველოს მელიორაციის გენერალურ დირექტორად დანიშვნამდე სურსათის ეროვნულ სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურს ხელმძღვანელობდა.

აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. თამაზ მღებრიშვილი პროფესიით იურისტია.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სადრენაჟე არხები წესრიგდება

6 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, საჯიჯაო-ხიბულას მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სოფელ ლესიჭინეში ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 2,5 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორები და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება და 20 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

სადრენაჟე სისტემის აღდგენითი სამუშაოები სოფელ გვიმბალაურში

12 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ რიონის მარცხენა სანაპიროს დამშრობ მასივს აწესრიგებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გვიმბალაურის ტერიტორიაზე ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან 3 კილომეტრამდე სიგრძის სხვადასხვა კატეგორიის კოლექტორული და შემკრები არხი იწმინდება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზრდება; შედეგად, 55 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება და აგროწარმოების შესაძლებლობა გაიზრდება.

დამშრობ მასივზე სამუშაოები ივნისის ბოლოს დასრულდება.

სამუშაო შეხვედრა მელიორაციის საკითხებთან დაკავშირებით

17 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თამაზ მღებრიშვილმა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი გუგუჩიამ რეგიონში სადრენაჟე სისტემებზე არსებული მდგომარეობა სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს;
შეფასდა მუნიციპალიტეტების მიხედვით განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოები. საუბარი შეეხო პროექტებს, რომლის განხორციელებასაც საქართველოს მელიორაცია მიმდინარე წელს დაიწყებს.

საქართველოს მელიორაციამ ხობის, აბაშის, სენაკის, მარტვილის, ფოთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში, ბოლო რამდენიმე წლის (2017-2023 წწ) განმავლობაში, 7,5 მლნ ლარის ღირებულების პროექტები განახორციელა, შედეგად, დამშრალი მიწის ფართობი 5000 ჰექტარით გაიზარდა, რამაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყო ხელი.

დღეისათვის, რეგიონში 4,8 მლნ ლარის ღირებულების სამუშაოები მიმდინარეობს, რომელთა დასრულების შემდეგ, 400 ჰექტარზე მეტ მიწის ფართობზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება გახდება შესაძლებელი.